

კრიტიკა საკონსტიტუციო სასამართლოს გარდაქმნის ნახმოვანი მიმდინარეობა

ივიკო ხავთასი,
გიორგი ჯანჯალაშვილი,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატია ეძღვნება დასავლეთის დემოკრატიულ სახელმწიფოებში საკონსტიტუციო კონტროლის სადავო საკითხს. ავტორებმა განიხილეს კონსტიტუციური იურისპრუდენციის გამორჩეული როლი; წარმოადგინეს ე.წ ამერიკული და ევროპული კონსტიტუციური კონტროლის მოდელების მოკლე მიმოხილვა; განიხილეს თითოეული მოდელის პრაქტიკული და დოქტრინალური ასპექტები; და მიუთითეს სამი ტიპის არგუმენტზე კონსტიტუციური კონტროლის ევროპული კონცეფციის მხარდასაჭერად. ტექსტის ნაწილი დაეთმო სადავო საკითხს, რომელიც გულისხმობს უცხოელი მოსამართლეებისთვის უფლებამოსილების მინიჭებას, განსაზღვრონ ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკური ვექტორები. ნაშრომში განხილულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ირგვლივ დღეს არსებული პრობლემათა ნაწილი, რის საპასუხოდაც ავტორები მიუთითებენ კონკრეტულ იურიდიულ რეგულირებაზე საკონსტიტუციო სასამართლოს, ავტონომიური და სასიცოცხლო მნიშვნელობის ინსტიტუციის, დაკომპლექტებასთან დაკავშირებით.

საკვანძო სიტყვები: საკონსტიტუციო კონტროლი, სასამართლო რეფორმა, სამართლის პოლიტიკა

Abstract

The following article is dedicated to the much-disputed issue of the constitutional review in the western democracies. The authors indicated the distinctive role of constitutional jurisprudence; presented a brief overview of the so-called American and European constitutional control models; discussed the practical and doctrinal aspects of each model; and represented three types of argument in support of the European conception of constitutional review. A part of the article was devoted to the contentious issue of granting foreign judges the power to review the state's domestic and foreign policy vectors. Moreover, this article examines the problems surrounding the Constitutional Court of Georgia. In response of which, the authors propose specific legal adjustments regarding the packing of the Constitutional Court and the future of this autonomous vital institution.

Keywords: Constitutional Review, Judicial Reform, Legal Policy

შესავალი

საკონსტიტუციო სასამართლო თავისი არსებობის ისტორიის განმავლობაში სხვადასხვა დროს ყოფილა რეფორმების ობიექტი, რაც თავისთავად ვერ მიიჩნევა უარყოფით მოცემულობად, რადგან იგი ცოცხალი ორგანიზაცია, ანუ შეცდომებზე უნდა სწავლობდეს და გამოწვევებს პასუხობდეს. კონსტიტუციის შემუშავებიდან დღემდე საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფში მუდმივად მუსირებდა აზრი საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოების შერწყმის შესახებ. კონსტიტუციის შემუშავებისას, 1995 წელს არჩევანი გაკეთდა ე.წ კონცენტრირებულ - დამოუკიდებელი საკონსტიტუციო სასამართლოს - მოდელზე, თუმცა აზრთა სხვადასხვაობა მაშინაც არსებობდა. მოგვიანებით, ე.წ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ხელისუფლება შეეცადა ამერიკული მოდელის დამკვიდრებას,¹ თუმცა მკვეთრად უარყოფითი საგარეო და საშინაო

¹ 2004 წლის დეკემბერში საყოველთაო სახალხო განხილვისთვის გამოაქვეყნა საქართველოს პრეზიდენტის მიერ ინიცირებული კანონის პროექტი, რომელიც inter alia საკონსტიტუციოს ართმევდა სასამართლო ხელისუფლების სტატუსს, მოსამართლეებს უწყდებოდათ უფლებამოსილება ვადამდე, ყველა მოსამართლე აირჩეოდა პრეზიდენტის წარდგინებით პარლამენტის მიერ და ა.შ. ვრცლად იხ. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის გამოქვეყნებისა და მისი საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შექმნის თაობაზე“. 9 დეკემბერი, 2004.

2020 წლის 13 მარტს ქართულმა ოპოზიციურმა პარტიებმა, ფართო შეფასებით, უპრეცედენტო შეთანხმებას მიაღწიეს სასამართლო სისტემის შესახებ². აღნიშნული შეთანხმება სასამართლო სტრუქტურის გარდაქმნაზე ცალკეული ქართულ სამეცნიერო თუ არასამეცნიერო წრეებთან ასოცირებული შეხედულებების ტრივიალური გამოვლინებაა. აზრთა სხვადასხვაობა თავისთავად მისასალმებელია, რამეთუ იდეათა კრიტიკულ კომპარატივისტიკაში შესაძლებელი ხდება არსებული მოდელის სრულყოფა და შერჩეული გადაწყვეტის სისწორის რწმენაში განმტკიცება. საკონსტიტუციო კონტროლის შესახებ მთავარი დამოკიდებულების არსებობა დროის კონკრეტული მოცემულობით არის არა შეზღუდული, არამედ კონსტიტუციაზე მუშაობის დღიდან მეტ-ნაკლები ინტენსივობით თანაარსებობს. მნიშვნელოვანია შეფასდეს ეს იდეები, მათი არსი და განხორციელებადობა. კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდება, ხოლო მითითებული შეთანხმებებისა და დამოკიდებულებების განმაპირობებელ ფაქტორად მიჩნეულია სასამართლოების სისტემაში არსებული პოლიტიზირებული და ცენტრალიზებული მმართველობა, ხოლო მიზანი “საბჭოთა სასამართლო სისტემის” რეფორმაციაა. სასამართლო სისტემა ფართოდ არის გაგებული და სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფების შეხედულებები მოიცავს არა მხოლოდ საერთო სასამართლოების სისტემას, არამედ გულისხმობს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ გარკვეულწილად არათავსებად რეფორმებსაც. წინამდებარე ტექსტი საკონსტიტუციო კონტროლთან დაკავშირებული რეფორმებისა თუ ხედვების კრიტიკაა.

სტატიის პირველ ნაწილში განიხილება საკონსტიტუციო სასამართლოსა და უზენაესი სასამართლოს შერწყმის საკითხი, მეორე და მესამე ნაწილები შესაბამისად დაეთმობა უცხოელ მოსამართლეთა ხანგრძლივი ვადით მოწვევის იდეასა და საკონსტიტუციო სასამართლოში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებას, პარალელურად კი დაინტერესებული ჯგუფებისთვის იქნება წარმოდგენილი არსებული სუპრალეგალური ვითარებისთვის გაუმჯობესებისთვის, ყველაზე ეფექტიანი ნაბიჯები.

1. საკონსტიტუციო სასამართლოს და უზენაესი სასამართლოს გაერთიანების შესახებ (ინი და იანი⁴)

საქართველოში საკონსტიტუციო კონტროლის დამოუკიდებელი ორგანოს ისტორია ხანგრძლივი არ არის, თუმცა მრავალნახულია, დაარსებიდან, ანუ 1996 წლიდან დღემდე ამ ორგანოს მნიშვნელობა არასდროს ყოფილა ერთფეროვანი და მცირე. საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი ინსტიტუცია ადგილზე ძალაუფლების დანაწილების სისტემაში აზრები კონსტიტუციის შემუშავების ეტაპზეც ორად იყო გაყოფილი, კერძოდ, ერთნი მიიჩნევდნენ, რომ საქართველოს ამერიკული მოდელი უნდა შეეთვისებინა, სადაც საკონსტიტუციო კონტროლის დიფუზიური მექანიზმია და ასეთ კონტროლს ახორციელებენ ფედერალური საერთო იურისდიქციის სასამართლოები, ხოლო მეორენი ფიქრობდნენ, რომ საქართველოს კონსტიტუციას, კონტინენტური ევროპის მსგავსად, უნდა განემტკიცებინა საკონსტიტუციო კონტროლის დამოუკიდებელი ინსტიტუტი (ე.წ. “ავსტრიული მოდელი”).⁵

უშუალოდ საკონსტიტუციო კონტროლის არსი უკავშირდება წარმომადგენლობითი დემოკრატიისა და თავდაცვითი დემოკრატიის პრინციპებს, სოციალური კონტრაქტის თეორეტიკოსები

² ჯ. ხეცურიანი, „საკონსტიტუციო რეფორმა საქართველოში (2017 წ.) და საკონსტიტუციო სასამართლო“, საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი - გამოცემა 1, 2018, გვ. 29 იხ. ციტირება ჯ. ხეცურიანი, (2006), „დამოუკიდებლობიდან სამართლებრივი სახელმწიფოსაკენ“, „სეზანი“, თბილისი, გვ. 67.

³ ნ. ჩიჩუა, „როგორ ხედავს ოპოზიცია მომავალ სასამართლოს“, იხ. <https://netgazeti.ge/news/482975/> [უ. გ. 26.02.2021].

⁴ ძველი ჩინური წარმოდგენის თანახმად, ყოფიერებას განაპირობებენ პოლუსური ძალები და იმპულსები, რომლებიც თანაარსებობენ თითოეულ ფენომენში ერთმანეთისგან განუყოფლად; კორელაციით ქმნიან ჰარმონიას. ბალანსის მიღწევის აღნიშნული ჩინური ფილოსოფია გავლენას ახდენს აზიურ სოციუმზე, ხელოვნებასა და პოლიტიკაზე იხ. E. Y. Kim, „The yin and yang of American culture: A paradox“. Hachette UK, 2001 xvi. როგორც ქვემოთ ვრცლად არის ნაჩვენები, სასამართლო ხელისუფლების ამ ორ ინსტიტუტს შორისაც ანალოგიური წინააღმდეგობრივი ურთიერთდამოკიდებულება არსებობს.

⁵ ვ. ზაბევი, „კონსტიტუციის შემუშავება და მიღება საქართველოში (1993-1995)“, (მეორე გამოცემა) გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2013, 247-250.

საკონსტიტუციო ზედამხედველობას რწმუნებულ-მარწმუნებლის ურთიერთობის ნაწილად მიიჩნევენ და ავითარებენ ნორმატიულ მსჯელობას, რომლის მიხედვით არჩეული კანონმდებლები ინდივიდების აგენტები არიან და წარმოადგენენ მათ კოლექტიურ ნებელობას, თავის მხრივ, მხოლოდ ხალხის სახელით იქმნება კონსტიტუცია, ხოლო საკონსტიტუციო კონტროლის მთავარი ფუნქცია ყოფილა პოლიტიკოსების მიერ ინდივიდებთან დადებული კონტრაქტის განხორციელების პროცესზე ზედამხედველობა.⁶ თუმცა აღნიშნული მსჯელობა ემპირიულად კრიტიკის საგანი შეიძლება გახდეს, იგი ყველაზე გონივრულად ხსნის საკონსტიტუციო იუსტიციის იდეასა და მიზანს, მეტიც შეიძლება ითქვას, რომ თავად კონსტიტუციონალისტური მმართველობა არსებითად არის დამოკიდებული საკონსტიტუციო კონტროლის - როგორც სახალხო მღელვარებისგან დისტანცირებული და სტაბილური სამართლებრივი მექანიზმის - სიმდიერეზე. თანამედროვე დემოკრატიული კონსტიტუციონალისტური სახელმწიფოსთვის დამახასიათებელია სტრუქტურული დამაბულობა დემოკრატიისა და კონსტიტუციონალიზმის პრინციპებს შორის. მოდერნული კონსტიტუციების ფუნქცია არის უმრავლესობის ნების ლიმიტირება შინაარსობრივი და პროცედურული მსაზღვრელებით,⁷ ხოლო საკონსტიტუციო იურისპრუდენციის ამოცანა ამ დამაბულობის ჰარმონიზებაა. თუკი ჰარტის ანალოგიას გამოვიყენებთ, იგია დადგენილი “სათამაშო წესების” შესრულებაზე ზედამხედველი არბიტრი.⁸ ამ პროცესში სასამართლოს ყოველთვის უნდა ახსოვდეს მის თავთან მერყევ სახალხო ლეგიტიმურობაზე ჩამოკიდებული დამოკლეს მახვილი და ძნელად აღსაქმელი კონტრასტი წესების პროაქტიურ დადგენასა და მათზე ზედამხედველობას შორის.

აღსანიშნავია, რომ დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის შემუშავების პროცესში თითქოს უკვე *a priori* იყო საკონსტიტუციო კონტროლის აუცილებლობის და მისი სასამართლოსთვის მინიჭების სისწორე, თუმცა, როგორც აღინიშნა კონკრეტულ სამოსამართლო მოდელებზე აზრთა შეუთავსებლობა არსებობდა და არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ომების შემდეგ საკონსტიტუციო კონტროლი პანაცეა გახდა, სხვადასხვა ქვეყანა აგრეთვე იცნობს კვაზისასამართლო თუ არასასამართლო საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოებსაც. საქართველოში ასეთი ერეტიკოსული იდეები პოპულარული განხილვების საგანი არასდროს ყოფილა და კლასიკური, ორთოდოქსული სამოსამართლო კონტროლის ჭეშმარიტობაში იშვიათად თუ დაეჭვებულა ვინმე. სასამართლოსთვის *erga omnes* საკონსტიტუციო ზედამხედველობის უფლებამოსილების მინიჭების სისწორე იმით აიხსნება, რომ ხელისუფლების ეს შტო, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ყველაზე ნაკლებად საშიში და ნეიტრალური, შესაბამისად, არბიტრალურია.⁹ პრაქტიკაში პირველად ასეთი იდეა ჯონ მარშალმა 1800-1803 წლებში განახორციელა, როდესაც საქმეზე “მერბერი მედისონის წინააღმდეგ”¹⁰ რაციონალიზებული კომპრომისის შედეგად ამერიკულმა უზენაესმა სასამართლომ კონსტიტუციის მცველი არბიტრის როლი განამტკიცა.¹¹ ნეიტრალურობასთან ერთად სასამართლო არის ხელისუფლების ერთადერთი ორგანო, რომელიც ანგარიშვალდებული მხოლოდ და მხოლოდ კანონის წინაშეა, შესაბამისად, იდეაში იგი ყველაზე მეტად უნდა იყოს დამოუკიდებელი პოლიტიკური ზეგავლენებისგან.¹²

საქართველოში კონსტიტუციის შემუშავების პერიოდში საბოლოოდ არჩევანი სწორედ კონტინენტური ევროპის მოდელზე გაკეთდა, შედეგად, გაიმიჯნა საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოების ფუნქციები, ავტონომია შეინარჩუნა სასამართლო ხელისუფლების ორივე

⁶ T. Ginsburg, „Economic analysis and the design of constitutional courts“, *Theoretical Inquiries in Law*, 3(1), 2002; 50-51.

⁷ C. Wöhst, „Hüter der Demokratie“. Springer Fachmedien Wiesbaden, 2017, 24.

⁸ H. L. A. Hart, „The concept of Law“, Second Edition, Postscript edited by Penelope A. Bulloch, Joseph Raz, Oxford University Press, 1994, 141-147.

⁹ ჰამილტონი 78-ე ფედერალისტურ წერილში ასე მიუთითებდა: “სასამართლო ხელისუფლება ყველაზე სუსტია ხელისუფლების სამ შტოთაგან. იგი ვერასოდეს შეძლებს, წარმატებით დაესხას თავს დანარჩენ შტოებს.” იხ. ა. ჰამილტონი, 78-ე ფედერალისტური წერილი, 1788, <http://www.federalistpapers.org/federali78.php> [უ.გ. 26.02.2021].

¹⁰ “სასამართლო ხელისუფლების კატეგორიული კომპეტენცია და მოვალეობა განაცხადოს, თუ რა არის კანონის არსი” იხ. *Marbury v. Madison*, 5 U.S. 137, 177(1803). <https://supreme.justia.com/cases/federal/us/5/137/> [უ.გ. 26.02.2021].

¹¹ ი. ხავთასი, „შერთებული შტატების მაგალითზე ფედერალური უზენაესი სასამართლოს პოლიტიკური როლი ძალაუფლების დანაწილების შეკავებაგაწონასწორების მოდელში“, საკონსტიტუციო სასამართლოს ჟურნალი (გამოცემა №2/2019), 74. <https://constcourt.ge/files/2/journal2019.2/Iviko-Khavtasi-2019.2-eng.pdf> [უ.გ. 26.02.2021].

¹² შ.დეისაძე, „საკონსტიტუციო კონტროლის წარმოშობა და მისი განმარტაციული ორგანო“, მართლმსაჯულება და კანონი #4(23)'09, 85.

ელემენტმა, გამოირიცხა მათი პირდაპირი ჩარევა ერთმანეთის კომპეტენციებში, მათ შორის, გამოირიცხა ე.წ. “რეალური კონტროლი”.¹³ შესაბამისად, დღევანდელ მოდელში საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოები სხვადასხვა იურისდიქციის მქონე ორგანოები არიან. ამდენად, გამოირიცხება მათი კომპეტენციის გადაკვეთა ან/და ცალკეული იერარქიული უპირატესობა.¹⁴ თუმცა თავ-თავიანთი იურისდიქციების მონოპოლიზაციის პირობებშიც კი არსებობს მათი თანაარსებობის პრობლემატიკა და შესაბამისად, კონსტიტუციური მმართველობისთვის ასე აუცილებელი შეკავებისა და გაწონასწორების *status quo*, სადაც ძალაუფლება გააკონტროლებს ძალაუფლებას,¹⁵ თავისთავად, საკონსტიტუციო კონტროლი გულისხმობს ძალაუფლებას, რომელსაც ბათუმში მდებარე სასამართლო ახორციელებს ხელისუფლების სამივე შტოზე.¹⁶ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კონცენტრირებულ მოდელში არსებობს ენდემური კონფლიქტი საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოებს შორის, რამაც შეიძლება შეზღუდოს უფლება სამართლიანი სასამართლოს ხელმისაწვდომობაზე.¹⁷

საკონსტიტუციო კონტროლის მოდელზე აზრთა სხვადასხვაობა, საქართველოს მსგავსად, რა თქმა უნდა, მსოფლიოს მასშტაბითაც არ არის უცხო ხილი და მრავალი ცხარე იურისპრუდენციული დებატის მიზეზიც გამხდარა.¹⁸ მაშინ, როდესაც საფუძველი ეყრებოდა ევროპული საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოს შექმნას, კარლ შმიდტი აფიქსირებდა პოზიციას, რომ “კონსტიტუციის მცველი” არ შეიძლება ყოფილიყო სასამართლო, რადგან ამ უკანასკნელს არ გააჩნდა “ფიზიკური ძალა”, ლეგიტიმური უფლებამოსილება აღასრულოს გადაწყვეტილებები, რომელთა შინაარსი პოლიტიკური და კანონშემოქმედებითია. სანაცვლოდ, მისი აზრით, კონსტიტუციის მცველის როლი ვაიმარის რესპუბლიკაში ფედერალურ “ზეპარტიულ” არჩევით პრეზიდენტს უნდა შეეთავსებინა.¹⁹

ამის საპირისპიროდ, კელზენი მიიჩნევდა, რომ საკონსტიტუციო კონტროლის არსი და თანმდევი ნიშანთვისებები განსაზღვრავდა თავად დამოუკიდებელი ორგანოს შექმნის აუცილებლობას. პირველ რიგში, ის გარემოება, რომ კონსტიტუცია უზენაესი კანონია, რომელთან იერარქიულ შესაბამისობაშიც უნდა იყოს მთლიანად ეროვნული კანონმდებლობა, შესაბამისად, აუცილებელი იყო დაცვის მექანიზმის არსებობა.²⁰ ასეთი კონტროლის ფუნქციის განმახორციელებელი გარანტი, კელზენის აზრით, ვერ იქნებოდა ვერც საკანონმდებლო ხელისუფლება, ვერც საერთო სასამართლოები და ვერც ფედერალური პრეზიდენტი, რადგან ხშირად ეს კონსტიტუციური ორგანოები შეიძლება ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, ყველა ასეთ ორგანოს შორის დავა, კელზენის აზრით, უნდა გადაეწყვიტა ჩვეულებრივი სასამართლოსგან დამოუკიდებლად მდგარ არბიტრ რგოლს, სპეციალიზებულ სასამართლოს. დაბოლოს, კელზენის აზრით, კონსტიტუციით შეზღუდული ხელისუფლების არსის - უმრავლესობის ნებით მართვა და უმცირესობათა

¹³ გულისხმობს ხელისუფლების სამივე შტოს, მათ შორის საერთო სასამართლოთა გადაწყვეტილებების საკონსტიტუციო კონტროლს. მაგალითად, გერმანიაში ინდივიდუალური კონსტიტუციური საჩივრის საგანი შეიძლება იყოს როგორც ნორმატიული და ინდივიდუალური აქტები, ისე ადმინისტრაციული და სასამართლო გადაწყვეტილებები იხ. M. Wienbracke, „Einführung in die Grundrechte: Mit wirtschaftsjuristischem Schwerpunkt und dem Recht der Verfassungsbeschwerde“, Springer-Verlag, 2013, 299-300.

¹⁴ მ. კოპალიევილი, ნ. სხირტლაძე, ე. ქარდავა, პ. ტურავა, „ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო“, გამომცემლობა „სიესტა“, 2008, 65.

¹⁵ C. De Montesquieu, “The Spirit of Laws”, Thomas Nugent (trans.), Batoche Books Kitchener, 2001, 172.

¹⁶ გ. ხუბუა, „საკონსტიტუციო სასამართლო როგორც კონსტიტუციური ორგანო“, სტატიათა კრებულში „გურამ ნაჭყებია-75 (საიუბილეო კრებული)“, რედ. ნ. თოდუა, “მერიდიანი”, 2016, 459.

¹⁷ კელზენისული მოდელი ეფექტიანია, თუმცა აგრეთვე ახასიათებს შინაგანი ნაკლოვანებები, ქმნის ხელოვნურ ინსტიტუციონალურ დამაბულობას საერთო სასამართლოებსა და საკონსტიტუციო სასამართლოს შორის. იხ. L. Garlicki, Constitutional courts versus supreme courts. International Journal of Constitutional Law, 5(1), 2007, 63.

¹⁸ მათ შორის ყველაზე ცნობილია მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში “კელზენი-შმიდტის” სახელით ცნობილი პოლემიკა, იხ. “The Guardian of The Constitution: Hans Kelsen And Carl Schmitt on the Limits of Constitutional Law” (2015), Translation and Notes by Lars Vinx, Cambridge University Press.

¹⁹ ა. შიო, „ხელისუფლების თვითშეზღუდვა - კონსტიტუციონალიზმის შესავალი“, მ. მაისურაძის თარგმანი, თ. ნინიძის რედაქტორებით, გამომცემლობა “სეზანი”, 2003, 287.

²⁰ კელზენს მიაჩნდა, რომ კონსტიტუციის უზენაესი ბუნება თავისთავად კონსტიტუციის დაცვის გარანტი ვერ იქნებოდა. ხოლო თუკი კონსტიტუციის, როგორც იერარქიაში უზენაესი ნორმის, დაცვის დამოუკიდებელი გარანტია არ იარსებებდა, კონსტიტუცია იქცეოდა მეორეხარისხოვან სამართლებრივ წესრიგად. შესაბამისად, კონსტიტუციის სიცოცხლისუნარიანობის აუცილებლობა განაპირობებდა კანონმდებლობის საკონსტიტუციო კონტროლს იხ. H. Kelsen, H., “Wer soll der Hüter der Verfassung sein?”, Berlin-Grünwald: W. Rothschild, 1931.

უფლებებისა და ინტერესების დაცვა/გათვალისწინება²¹ - განხორციელება სწორედ დამოუკიდებელ ფორუმს, საკონსტიტუციო სასამართლოს შეეძლო.²² ფაქტია, რომ კვლევითი იდეა ცენტრალიზებულ საკონსტიტუციო კონტროლზე დღეს ყველაზე გავრცელებული მოდელია, განსაკუთრებით “ახალი დემოკრატიის ქვეყნებში”,²³ საინტერესოა რა განაპირობებს ასეთ ტენდენციას ზოგადად და შესაბამისად, საქართველოში.²⁴

ზოგადად, კონცენტრირებული საკონსტიტუციო კონტროლის გამამართლებელ არგუმენტებზე მსჯელობისას, შეგვიძლია რამდენიმე კატეგორიის არგუმენტი გამოვყოთ: საკადრო სპეციალიზება; საერთო სასამართლოების დეპოლიტიზირება; უფლებამოსილებათა ინსტიტუციონალიზაცია. განვიხილოთ თითოეული უფრო ვრცლად.

პირველი, საკადრო სპეციალიზების არგუმენტი გულისხმობს საკონსტიტუციო სასამართლოში მოსამართლეთა შედარებით უპირატესობას, რაც განაპირობებს როგორც გადაწყვეტილებების მაღალ ხარისხს, ისე პროცესის ეკონომიურობას. კონცენტრირებული კონტროლი ეკონომიკურად მეტად ეფექტიანია, ხოლო დეცენტრალიზებული მოდელი, სადაც თითოეული ინსტანციისა და სპეციალიზების მოსამართლე არის უფლებამოსილი იმსჯელოს ნორმის კონსტიტუციურობაზე, ეკონომიკურად არაეფექტიანი. მიუხედავად იმისა, რომ დიფუზიურ მოდელში კონტროლის უფრო მეტ შრეს გადის ცალკეული საკონსტიტუციო სადაო საკითხი - რადგან თითოეული ინსტანცია და საქმის განმხილველი მოსამართლე არის უფლებამოსილი განახორციელოს საკონსტიტუციო კონტროლი - საბოლოოდ, უკანასკნელი სიტყვის უფლება მაინც უზენაეს ინსტანციას აქვს და პროცესი არაგონივრულად იწელება.²⁵ ხოლო მოსამართლეთა სპეციალიზება შემდეგში შეიძლება გახდეს საფუძველი მიღებული გადაწყვეტილებების მაღალი ხარისხის, პრაქტიკის თანმიმდევრულობისა და განჭვრეტადობის, საქმისწარმოების დაჩქარებისა და პროცესში სასამართლოს ავტორიტეტის ზრდის.²⁶

ინსტანციური დამოუკიდებლობისა და პროფესიული სპეციალიზების კვალდაკვალ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების დასაბუთებულობისა და ხელმისაწვდომობის ხარისხი დროთა განმავლობაში უფრო და უფრო იზრდებოდა. თავის მხრივ, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ორგანოს გადაწყვეტილებები საბოლოო და შესასრულებლად სავალდებულოა, ხშირად გამხდარა, მათ შორის, უნებურად - რადგან სასამართლო მოსარჩლეებს არ ირჩევს და საკონსტიტუციოსთვის ინდივიდუალური სარჩელით მიმართვის ქართული სტანდარტი ძალიან ფართოა - პოლიტიკური თამაშების მონაწილე.²⁷ თუმცა უფრო მეტად, ვიდრე ნაკლებად აღნიშნული ინსტიტუტი თავისი 23 წლიანი ტურბულენტური ისტორიის კვალდაკვალ ყალიბდებოდა, როგორც ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებზე ორიენტირებულ ორგანოდ, დღევანდელ გამოწვევებსა და პრობლემებზე უფრო ვრცლად სტატიის მეორე ნაწილში.

საერთო სასამართლოების დეპოლიტიზირების არგუმენტზე მსჯელობისას, პირველ რიგში, უნდა განვიხილოთ საკონსტიტუციო სასამართლოს მოქმედების მასშტაბის, კონსტიტუციის, როგორც პოლიტიკურად სენსიტიური აქტის მნიშვნელობა, საკონსტიტუციო სამართალწარმოება უნდა შეედაროს საერთო სასამართლოებში საქმის წარმოებას და გამოირკვეს განსხვავება. კონსტიტუცია,

²¹ მაგალითისთვის, ცენტრალიზებული საკონსტიტუციო კონტროლის ტრადიციის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია (განსხვავებით ამერიკული ვარიანტისგან) in abstracto კონტროლი, რომლის ინიცირება, მათ შორის, საპარლამენტო უმცირესობის მიერ არის შესაძლებელი.

²² ა. შაიო, იხ. სქოლიო 19, გვ.გვ. 285-286.

²³ L.Garliki, იხ. სქოლიო 17, გვ.გვ. 81-85, დანართი, რომლის მიხედვით, 1980 წლიდან მოყოლებული 66 “ახალი დემოკრატიის” სახელმწიფოდან 46-მა აირჩია ცენტრალიზებული კონტროლის მოდელი.

²⁴ სხვადასხვა ავტორის აზრით, ევროპაში, განსაკუთრებით “ახალი დემოკრატიის ქვეყნებში” ამ ტენდენციის განაპირობებელი მიზეზია ავტორიტარული მმართველობის ისტორიული გამოცდილება, შიში. არსებული საერთო სასამართლოები არ იყო სტრუქტურულად დამოუკიდებელი და ინტელექტუალურად ძლიერი, ამიტომაც გახდა საჭირო ცალკე ინსტიტუციის შექმნა. მაგალითისთვის იხ. Garliki, სქოლიო 17, გვ. 45.

²⁵ თუმცა საპირისპიროდ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დეცენტრალიზებულ მოდელში, იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლო სისტემა მონისტურია, ნაკლებად წარმოიშვება დავები იურისდიქციების შესახებ.

²⁶ ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო (CCJ), დასკვნა #15 (2012) მოსამართლეთა სპეციალიზაციის შესახებ, §§ 8-13.

²⁷ ვ. ბაბკი, „საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია 20 წლის შემდეგ: მიღწევები, გამოწვევები, მომავლის ხედვები“, წიგნში „საქართველოს კონსტიტუცია 20 წლის შემდეგ“, რედაქტორები: ვ. ნაცვლიშვილი, დ. ზედელაშვილი, ფონდი დია საზოგადოება საქართველო, 2016, 29.

როგორც პოლიტიკური აქტი, მოიცავს ფუნდამენტურ პროგრამულ საკითხებს, რომელთა მნიშვნელობა სცდება ტექნიკურ და მშრალ იურიდიულ თემატიკას, მათ შორისაა პოლიტიკური ღირებულებები, სახელმწიფო მმართველობა და უფლებები. “კონსტიტუცია ასახავს წარსულს, საფუძველს უქმნის აწმყოს და აყალიბებს მომავალს... იგი ერთდროულად წარმოადგენს ფილოსოფიას, პოლიტიკას, საზოგადოებასა და სამართალს.”²⁸ უზენაეს კანონში დაფიქსირებული აბსტრაქტული და ზოგადი ხასიათის დებულებების გამოყენება საკონსტიტუციო კონტროლის დროს თავისთავად გულისხმობს პოლიტიკურ მსჯელობებს.

საკონსტიტუციო სასამართლო ხშირად განიხილავს დავებს, რომელთა შესახებ საზოგადოებაში არ არსებობს პოლიტიკური კონსენსუსი და ცდილობს სტაბილიზატორის როლი მოიგოს. განსხვავებით საერთო სასამართლოებისგან, რომლებიც რუტინულად ვიწრო გაგებით აპოლიტიკურ (მაგალითად, საოჯახო) დავებზე არიან ხოლმე კონცენტრირებულები. შესაბამისად, საერთო სასამართლოში დავების განხილვა პოლიტიკისგან ძირითადად შორს დგას (თუმცა არა ფართო გაგებით) და ასეც უნდა დარჩეს.²⁹ სასამართლოების ინსტიტუციური დუალიზმი, პირველ რიგში, საერთო სასამართლოებისთვის არის სასარგებლო, რადგან არ ხდება მათი არაგონივრულად პოლიტიზირება, რაც საკონსტიტუციო კონტროლის მესიანისტური ბუნების გარდაუვალი თანმდევი მოვლენაა. იმის გათვალისწინებითაც, რომ საკონსტიტუციო კონტროლის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია სახელისუფლებო უწყებებს შორის საზღვრების დადგენაა, ხშირად ასეთი კონტროლის განმხორციელებელი ორგანო არის აქტიურ კორელაციაში ხელისუფლების სხვა შტოებთან (მათ შორის საერთო სასამართლოებთან),³⁰ შესაბამისად, თუკი არსებული დუალიზმის ადგილზე მონისტურ სასამართლო სისტემას დავამკვიდრებთ, საერთო სასამართლოების მიერ მართლმსაჯულების ეფექტიან განხორციელებას - რაც საზოგადოებრივ პრესტიჟსა და მხარდაჭერაზე დამოკიდებული - შეიძლება საფრთხე შეექმნას და მეტიც, ჩამოიშალოს ძალაუფლების დანაწილების არსებული სამთავიანი არქიტექტურა.

მესამე, უფლებამოსილებათა ინსტიტუციონალიზაციის არგუმენტი უკავშირდება ნეგატიური კანონშემოქმედისა და ნორმათაშემფარდებლის ფუნქციათა შორის განსხვავებას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, სასამართლო თავისი არსით „ასრულებს ნეგატიური კანონმდებლის ფუნქციას, გავლენას ახდენს ნორმათაშემოქმედებით საქმიანობაზე – სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, კონკრეტული ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმა (ნორმები) კარგავს იურიდიულ ძალას, მეტიც, კანონმდებელმა, ხშირ შემთხვევაში, [იძულებულია] მიიღოს ახალი, კონსტიტუციის შესაბამისი, ნორმები.”³¹ სასამართლოს ნეგატიური კანონმდებლის როლი ძალაუფლების დანაწილების სისტემაში კოლოსალურია. უფრო მეტიც, საკონსტიტუციო სასამართლოს რიგი გავლენიანი მოქმედი და ყოფილი მოსამართლეების მიერ სხვადასხვა დროს გამოთქმულია მოსაზრება, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს პროფესიონალი მოსამართლე არ უნდა მოქმედებდეს ე.წ. სამოსამართლო თვითშეზღუდვის ფარგლებში, რადგან მათი როლია გაიაზრონ თავისუფლება ფართო მასშტაბით და ხელი შეუწყონ სამართლის პროგრესულ განვითარებას. ამ ერთგვარი მისიის ფარგლებში ისინი არ უნდა მოექცნენ კონსტიტუციის კონკრეტული ტექსტის და სიტყვების “ტყვეობაში”, ამგვარი მოქცევით, მოსამართლე “გააფერმკრთალებს საკუთარ მანტიას, გააუფასურებს კონსტიტუციური მართლმსაჯულების საჭიროებას, მიზანს.”³² აღნიშნული ავანგარდისტული სამოსამართლო ფილოსოფია შეიძლება კრიტიკის, მათ შორის, კონსტრუქციული კრიტიკის ობიექტი გახდეს სხვა დროს, მაგრამ ახლა ერთი ცხადია, რომ დაფიქსირებული ტენდენციები უფრო ნათელს ხდის იმას,

²⁸ დ. გეგენავა, „საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივი ბუნება და მისი ადგილი ხელისუფლების დანაწილების კონცეფციაში“, წიგნში „თანამედროვე საკონსტიტუციო სამართალი“, რედაქტორები: გ. კვერენჩილაძე, დ. გეგენავა, დავით ბატონიშვილის ინსტიტუტი, 93, იხ. ციტირება A. Barack, „Purposive Interpretation in Law“, translated from Hebrew by Sari Bashi, Princeton, 2005, 370.

²⁹ R. A. Posner, “How Judges Think”, Harvard University Press, 2008, 277.

³⁰ ჰ. შვარცი, „კონსტიტუციის მშენებლობის საფეხურები“, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა (პირველი ნომერი), 10.

³¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №1/466, 2010 წლის 28 ივნისი, II-18.

³² ქ. ერემაძე, „საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია 20 წლის შემდეგ: მიღწევები, გამოწვევები, მომავლის ხედვები“, „საქართველოს კონსტიტუცია 20 წლის შემდეგ“, რედაქტორები: ვ. ნაცვლიშვილი, დ. ზედელაშვილი, ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, 2016, 166-167.

თუ რამხელა პოტენციური ენერჯია აქვს ამ ინსტანციას, ნათელს ხდის საკონსტიტუციო კონტროლის არსა და მიუთითებს საკონსტიტუციო სამართალწარმოების სახესხვაობებზე.

მეორე მხრივ, საერთო სასამართლოების ფუნქციაა მართლმსაჯულების განხორციელება. საკონსტიტუციო სასამართლო იცავს კონსტიტუციურ კანონიერებას, უშუალოდ ეხება არა მთლიანად მართლწესრიგს, არამედ კონსტიტუციურ წესრიგს, ხოლო საერთო სასამართლოები განიხილავენ მიმდინარე კანონის დარღვევის შემთხვევებს.³³ საერთო სასამართლოები ადგენენ ფაქტებს, განმარტავენ ნორმებს და უფარდებენ აღნიშნულ განმარტებებს ცალკეულ სადაო შემთხვევებს. ხოლო საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელ სუბიექტს აქვს თავისუფალი ინტერპრეტაციის შესაძლებლობა, რაც განპირობებულია კონსტიტუციის კონცეპტუალური ბუნებით. ნორმათშემდგარდებელისა და თავისუფალი ინტერპრეტატორის უფლებამოსილებებს შერწყმის შემთხვევაში, შევქმნით ძალაუფლების დანაწილების არსებულ მოდელში დაუზღვეველ, დაუბალანსებელ და გაუმართლებელ რისკს.

2. უცხოელი მოსამართლეები, როგორც სახელმწიფოს შიდა და საგარეო პოლიტიკური ვექტორების ზედამხედველები

სასამართლო სისტემის რეფორმის ერთ-ერთ საკვანძო საკითხად წარმოდგენილია, უცხოელ მოსამართლეთა მოწვევა სამოსამართლო საქმიანობის განსახორციელებლად ამერიკის შეერთებული შტატებიდან და დიდი ბრიტანეთიდან. მიუხედავად იმისა, რომ სისტემის შიგნით პრობლემათა ჯაჭვის არსებობაზე საზოგადოების დიდი ნაწილის შეთანხმება არსებობს,³⁴ წარმოდგენილი ხდება ამ პრობლემათა აღმოსაფხვრელად ვერ მიიჩნევა ღრმა ანალიზის შედეგად ჩამოყალიბებულად რამდენიმე მიზეზის გამო. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, კონსტიტუციური მართლმსაჯულების უზენაეს სასამართლოში გადატანა ამ უკანასკნელის ძირითადი შემადგენლობის უცხოელი მოსამართლეებით დაკომპლექტების ფონზე ქმნის იმ ტიპის არსებით პრობლემას, რომელიც შეუძლებელს ხდის თავისთავად იმ ლეგიტიმური მიზნის მიღწევას სისტემის გაჯანსაღების სახით, რის გამოც რეფორმირების იდეა გაჩნდა.

იმისათვის, რომ პრობლემის რაობა ცხადი გახდეს, პასუხი უნდა დაზუსტდეს კითხვაზე თუ რა არის საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება, რითი განსხვავდება იგი საერთო სასამართლოებში მოქმედი მართლმსაჯულების განმახორციელებელი უმაღლესი ინსტანციისგან. ამ კითხვაზე პასუხს თავად კონსტიტუცია იძლევა, რომლის მესამოცე მუხლიც საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებად ადგენს სახელმწიფოს ადგილობრივი და საერთაშორისო პოლიტიკური ვექტორების განსაზღვრის კონსტიტუციურობის შემოწმებას. სასამართლოს უფლებამოსილება შეამოწმოს საერთაშორისო ხელშეკრულების კონსტიტუციურობა საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტებითაც საინტერესოა, თუმცა წინამდებარე შემთხვევაში სტატიის მიზნებისათვის უპრიანია გამოიკვეთოს სასამართლოს წევრის როლი სახელმწიფოს საერთაშორისო ასპარეზზე პოზიციონირებისას. 2002 წლის 21 მაისს პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება დიდუბე-ჩულურეთის რაიონული სასამართლოს კონსტიტუციურ წარდგინებაზე, რომლის ხედვითაც პრობლემური იყო საქართველოს პარლამენტის მიერ 1996 წლის 16 ოქტომბრის დადგენილებით რატიფიცირებული "ადგილმდებარეობის შესახებ საქართველოს რესპუბლიკასა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს შორის შეთანხმების" მე-3 მუხლის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის (იმ დროისათვის მოქმედი რედაქციით) 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან და 82-ე მუხლთან მიმართებით.³⁵ "საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესახებ" ვენის კონვენციის სამართლებრივი ბუნების გათვალისწინებით³⁶ არსებითია, რომ სახელმწიფომ, როგორც მაღალმა ხელშეკრულმა მხარემ, არ დაარღვიოს საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულება, რომელიც მან სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებში იკისრა. ის თუ რამდენად პატივს

³³ გ. ხუბუა, „საკონსტიტუციო სასამართლო როგორც კონსტიტუციური ორგანო“, სტატიათა კრებულში „გურამ ნაჭყებია-75 საიუბილეო კრებული“, რედ. ნ. თოდუა, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2016, 458.

³⁴ იხ. კავკასიის ბარომეტრის კვლევა სასამართლოსადმი ნდობის შესახებ, გამოკითხულთა მხოლოდ 17% ენდობა ან ნაწილობრივ ენდობა. <https://www.caucasusbarometer.org/en/cb2019ge/TRUCRTS/> [უ.გ. 26.02.2021].

³⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილება საქმეზე N8/177/2, 2002 წლის 21 მაისი.

³⁶ მუხლი 27, „კონვენცია სახელშეკრულებო სამართლის შესახებ“, ვენა, 1969 წლის 23 მაისი.

სცემს სახელმწიფო საერთაშორისო წესრიგს, რომლის შემუშავებამაც თავად, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი მონაწილეობს საერთაშორისო პოლიტიკური ცხოვრების ერთგვარი მდგენელი და სახელმწიფოსათვის საერთაშორისო ასპარეზზე პოზიციონირების განმსაზღვრელია. მით უფრო, რომ თანამედროვე საერთაშორისო წესრიგი ემყარება ფუნდამენტურ პრინციპს *pacta sunt servanda*.³⁷

განსხვავებით დასახელებული საქმისგან, სადაც დავა კონვენციით განსაზღვრულ იმუნიტეტს შეეხებოდა, საკონსტიტუციო სასამართლოს მალევე განჩინებით მოუწია უარის თქმა განსახილველი საკითხის მიზნებისათვის კიდევ უფრო მნიშვნელოვან ასპექტზე, რომელიც „რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის ყოფილი სსსრ კავშირის საგარეო სახელმწიფო ვალისა და აქტივების მიმართ სამართალმემკვიდრეობის საკითხების მოწესრიგების შესახებ“ შეთანხმებით რატიფიცირების თაობაზე საქართველოს პარლამენტის 2001 წლის 16 თებერვლის დადგენილების კონსტიტუციურობას შეეხებოდა.³⁸

გარდა მოხმობილი მაგალითებისა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ასევე იხილავს პრეზიდენტის, პარლამენტის ან მთავრობის სარჩელის საფუძველზე პოლიტიკური პარტიის საქმიანობის კონსტიტუციურობისა და ამ პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხს, რაც კიდევ უფრო ცხადს ხდის სასამართლოს მონაწილეობას პოლიტიკური დღის წესრიგის შექმნაში. გარდა ამისა, სასამართლოს კომპეტენციის ფარგლებს მიეკუთვნება პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის ან შესაბამისი პირის სარჩელის საფუძველზე პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის შესახებ პარლამენტის გადაწყვეტილების კონსტიტუციურობის საკითხის განხილვა. ამის მაგალითია 2006 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება,³⁹ რომელზეც სასამართლოს მოუწია საქართველოს პარლამენტის წევრის მანდატთან შეუთავსებელი საქმიანობის ფარგლების შეფასება და ამის ფონზე მისთვის სადეპუტატო მანდატის ვადაზე ადრე შეწყვეტის კანონიერებაზე მსჯელობა. გარდა ზემოაღნიშნულისა, დამატებით შესაძლოა მოხმობილ იქნეს სასამართლო პრაქტიკაში არსებული ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო საარჩევნოსამართლებრივი დავა, რამდენადაც საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის ან სახალხო დამცველის სარჩელის საფუძველზე სასამართლო, აგრეთვე, იხილავს რეფერენდუმის ან არჩევნების მომწესრიგებელი ნორმისა და ამ ნორმის საფუძველზე ჩასატარებელი ან ჩატარებული რეფერენდუმის ან არჩევნების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებულ დავას. მითითებულ საქმეზე,⁴⁰ სასამართლომ ფაქტობრივად ვერ მიიღო გადაწყვეტილება, რამდენადაც ეს ის საგამონაკლისო შემთხვევაა, როდესაც სასამართლოს აქტს არ გააჩნია ძირითადი ტექსტი და გადაწყვეტილების, როგორც იურიდიული ძალის მქონე სამოტივაციო ნაწილი, ისე განსხვავებული აზრი ერთადაა მოქცეული. აღნიშნულის საფუძველი გახდა საქმეში ცხრის ნაცვლად რვა მოსამართლის მონაწილეობა, რომელთა აზრებიც გაიყო. შესაბამისად, წინამდებარე საქმიდან აშკარაა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ წევრსაც ჰქონდა შესაძლებლობა არსებითად შეეცვალა საარჩევნო დავის და შესაბამისად სახელმწიფოს პოლიტიკური დღის წესრიგის იურიდიული შედეგი, ამდენად თითოეული მოსამართლის სასამართლოს აქტის ფარგლებში საჯაროდ გამოხატულ აზრს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც სამოსამართლო აზრი საჯარო სახეა მართლმსაჯულებისა, ისევე, როგორც კანონია საკანონმდებლო ორგანოს სახე.⁴¹

შესაბამისად, უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავებით საერთო სასამართლოებში მოქმედი მოსამართლისგან, საკონსტიტუციო მართლმსაჯულების განმახორციელებელი პირდაპირი გვევლინება სახელმწიფოში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პოლიტიკური დღის წესრიგის ერთგვარ მდგენელად. სწორედ ამ როლის გათვალისწინებით ჩნდება მსჯელობის დასაწყისში წამოჭრილი საკითხის მნიშვნელობა, რამდენად ლეგიტიმურია უცხო სახელმწიფოს მოსამართლის მიერ ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი კონსტიტუციური და შესაბამისად მაღალი პოლიტიკური

³⁷დამატებით იხ. M. N. Shaw, *International Law*, Cambridge University Press, 5th Edition, 2003, 811-812.

³⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება საქმეზე №2/14/156, 2002 წლის 4 ოქტომბერი.

³⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №1/2/378, 2006 წლის 13 ივლისი.

⁴⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №3/3/763, 2016 წლის 20 ივლისი.

⁴¹ W. Popkin, "Evolution of the Judicial Opinion Institutional and Individual Styles", New York University Press, 2007, 1.

ინტენსივობის საკითხების გადაწყვეტა იმ ფონზე, როდესაც ამ რეფორმის შედეგად სახელმწიფო თმობს მის იურისდიქციას ხელისუფლების განხორციელებაზე სხვა სახელმწიფოს წარმომადგენლის სასარგებლოდ. აქვე საყურადღებოა მოსამართლეთა არჩევის პროცედურული წესი. პოლიტიკური ნეიტრალიტეტი მართლმსაჯულებაში უნივერსალური სულაც არ არის, მაგალითად, დასამალი არაა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალურ მოსამართლეებს პრეზიდენტი იმისდა მიხედვით წარადგენს, თუ რამდენად იზიარებენ მის მსოფლმხედველობას.⁴² მართალია, ჯერ-ჯერობით იდეის განხილვისას სამსჯელოდ არ გამოტანილა აღნიშნული საკითხი, თუმცა, თუ მოსამართლეთა შერჩევა/დანიშვნას უზრუნველყოფს რომელიმე სხვა სახელმწიფოს პოლიტიკური ხელისუფლების უმაღლესი ორგანო (მაგალითად, კონგრესი), მაშინ კიდევ უფრო მწვავედ წამოიჭრება სახელმწიფოს სუვერენულობის პრობლემა, რამდენადაც გამოვა, რომ სხვა სახელმწიფოს პოლიტიკური ორგანო უზრუნველყოფს იმ მოსამართლეთა შერჩევას, რომლებმაც უნდა დაადგინონ საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკური დღის წესრიგი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ჩნდება მოქალაქეობის ცენზის მნიშვნელობის საკითხი. საქართველოს კონსტიტუცია სავალდებულო მოთხოვნად აწესებს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი საქართველოს მოქალაქე უნდა იყოს. მიუხედავად იმისა, რომ ფორმალური მიდგომით შესაძლებელია ჩანაწერის ამოღება, უმთავრესია განხილულ იქნეს აღნიშნულის არსებითი მხარე. მოქალაქეობა თავისი მხრივ კონკრეტულ ღირებულებათა გარშემო გაერთიანებული საზოგადოების წევრობას ნიშნავს, რომლის მეშვეობითაც პირი მონაწილეობს ხელისუფლების განხორციელებაში, რაც თავის მხრივ, უპირატესად გულისხმობს პირის ინტერესს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობასა და წინსვლაზე. დასავლურ დემოკრატიებში პოლიტიკური პროცესი არსებითად გამომდინარეობს მოქალაქეობის კონცეპტიდან, თავის მხრივ, რომლის სიცოცხლისუნარიანობაც დამოკიდებულია მრავლობითში პირველი პირის, "ჩვენ" ნაცვალსახელზე.⁴³ მოქალაქეობის და შესაბამისად ამ საზოგადოების ღირებულებების ფორმალურად აღიარების გარეშე არ უნდა იქნეს შეწყნარებული პირის სახელმწიფო მმართველობით-პოლიტიკურ საქმიანობაში პროაქტიული ჩართვა, რამდენადაც სუვერენული სახელმწიფოს იდეა უპირატესად სწორედ ჩაურევლად სახელმწიფოს შიდა და გარე პოლიტიკური დღის წესრიგის განსაზღვრას გულისხმობს.

გარდა ამისა, უცხოელ მოსამართლეთა მოწვევის კონცეფციაში არ არის განხილული ისეთი პროცედურული საკითხები, რომლებიც შესაძლოა ერთი შეხედვით მარტივად მოგვარებადად ისახებოდეს, თუმცა ქმნის ამ იდეის პრაქტიკაში განუხორციელებლობის თითქმის აბსოლუტურ გარანტიას. შესაბამისად, ჩნდება განსახილველი საკითხის ეკონომიკური არგუმენტი. საკონსტიტუციო სასამართლოს შემადგენლობის უზენაესი სასამართლოს იურისდიქციაში გადასვლა არსებული მოცემულობით გულისხმობს ნორმატიული ბაზით დადგენილი მინიმუმის, ესე იგი, ოცდარვა მოსამართლისათვის კიდევ ცხრა მოსამართლის დამატებას საკონსტიტუციო კონტროლის პალატის დასაკომპლექტებლად. ვიდრე განხილულ იქნებოდეს სწრაფი მართლმსაჯულების ხარვეზები საქართველოში, რაც მოსამართლეთა მცირე ოდენობითაა გამოწვეული, ეკონომიკური არგუმენტის გათვალისწინება შესაძლოა არსებული მოდელითაც. კერძოდ, შემოთავაზებული რეფორმის მიხედვით, საქმის განმხილველ კოლეგიაში უმრავლესობას უნდა ქმნიდნენ უცხოელი მოსამართლეები, რაც სამწვერიანი კოლეგიის დაკომპლექტების პირობებში ნიშნავს სასამართლოს სრული შემადგენლობის 2/3-ით უცხოელი მოსამართლეებით დაკომპლექტებას, რაც სასამართლოს თავმჯდომარის გარეშე გულისხმობს მინიმუმ 24 მოსამართლის ჩამოყვანას. 2020 წლის მოცემულობით ამერიკის შეერთებული შტატების პირველი ინსტანციის, ესე იგი, ყველაზე დაბალი საფეხურის ფედერალური მოსამართლის წლიური ხელფასი შეადგენს 216,400\$-ს,⁴⁴ რაც თითქმის ათჯერ აღემატება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ხელფასს. ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური სასამართლო ადმინისტრაციის გათვალისწინებით, პირველი ინსტანციის მოსამართლის ფუნქცია საქმის

⁴²T. Bingham, "The Rule of Law", Penguin Books, 2010, 120.

⁴³R. Scruton, Howto be a Conservative, Bloomsbury Continuum, 2014, 40.

⁴⁴ob, <https://www.uscourts.gov/judges-judgeships/judicial-compensation> [უ.გ. 26.02.2021].

არსებითი განხილვა,⁴⁵ რომლის რევიზიასაც საოლქო სააპელაციო სასამართლოები ასრულებენ, ამდენად, აქ არსებითად სადავოა რამდენად შეიძლება იყოს კომპეტენტური პირველი ინსტანციის მოსამართლე უმაღლეს ინსტანციაში. თუმცა, ისევ ეკონომიკურ არგუმენტს, რომ გავყვეთ, გამოდის რომ ჯამში 24 მოსამართლის თანამდებობრივი სარგო 5 193 600\$ იქნება. აქ გასათვალისწინებელია, ისიც რომ აღნიშნულ თანხას დაემატება მოსამართლის სამდივნოს დანახარჯები, რომელიც შედგება ერთი მდივნისა და მინიმუმ ორი თანაშემწისაგან. დამატებით, საქმეთა დროული და სწრაფი თარგმნისათვის, აუცილებელი იქნება სპეციალური სამსახურის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს თვეში ათიათასობით ფურცლის თარგმნას ქართულიდან ინგლისურად და პირიქით. 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით, სასამართლო სისტემის დაფინანსება შეადგენდა 105 მილიონ ლარს,⁴⁶ რომელშიც გარდა ადმინისტრაციული ხარჯებისა, ასევე, შედის 300-მდე მოსამართლისა და მათი სამდივნოების თანამდებობრივი სარგო.

მართლმსაჯულების ერთ-ერთ გამოწვევას მოსამართლეთა სიმცირე და შესაბამისად, დავების განხილვის გაჭიანურება სახელდება. დაგვიანებული მართლმსაჯულება კი, მის განხორციელებაზე საერთოდაც უარის თქმად მიიჩნევა.⁴⁷ წარმოდგენილი იდეის შედეგად კი, დავების განხილვის გაჭიანურება გაცილებით უფრო მწვავე პრობლემა გახდება, რამდენადაც მოსამართლეთა ოდენობა იგივე დარჩება უზენაეს სასამართლოში, რომელიც საქმის შესწავლას და გადაწყვეტილების მიღებას იმ დროით მეტ ხანს მოანდომებს, რაც ათიათასობით ფურცლის თარგმნას დაჭირდება ყოველთვიურად. საბოლოოდ რესურსების არ არსებობის გამო, საქმეთა იმ ოდენობის გათვალისწინებით, რაც საქართველოს სასამართლოებს გააჩნიათ, ფაქტობრივად, აშკარაა საქმეთა განხილვის კიდევ უფრო გაჭიანურება, რაც სერიოზულ წინააღმდეგობაში მოდის კონვენციის მე-6 მუხლთან.⁴⁸ გარდა ამისა, კონვენციის მე-13 მუხლის მოთხოვნა შიდასახელმწიფოებრივ ეფექტური საშუალებების არსებობასა და ხელმისაწვდომობაზე ყოველ სახელმწიფოში ინდივიდუალურია და დამოკიდებული სასამართლო სისტემის ორგანიზაციაზე.⁴⁹ თუმცა, როგორც კი, საკონსტიტუციო სასამართლოს იურისდიქცია შეუერთდება უზენაეს სასამართლოს, რომელსაც მოუწევს არსებითად არსებულ საქმეებთან ერთად კონსტიტუციური სარჩელების განხილვაც, დავის განხილვის ვადა საგრძნობლად გაიზრდება და პირის ხელმისაწვდომობა სწრაფ მართლმსაჯულებაზე, რომელიც სამართლის უზენაესობის ძირითადი იდეაა, მკაფიოდ შეფერხდება. საქმეთა განხილვის გაჭიანურება თავის მხრივ გამოიწვევს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებათა ხარისხის გაუარესებას.⁵⁰ გარდა ამისა, მოსამართლეთა ჩამოყვანის თუ სხვა ადმინისტრაციული საკითხის მოხმობით სახელმწიფოს არ ეხსნება ვალდებულება სწრაფ მართლმსაჯულებაზე, რამდენადაც ადმინისტრაციული შეფერხებები სახელმწიფოს განკარგვის სფეროა და ის არ შეიძლება საპირწონედ იქნეს მიჩნეული უფლებით არაეფექტიან სარგებლობაზე.⁵¹ ხოლო თავად ამ იდეასთან მიმართებით კი, იგი ძირს უთხრის რეფორმის შემუშავების საწყისს - მართლმსაჯულებისადმი ნდობის ამაღლებას, რამდენადაც მრავალი კვლევით დადგენილია, რომ საქმეთა გაჭიანურება არის სწორედ ის პრობლემა, რაც უპირატესად აფერხებს სასამართლოსადმი ნდობის ამაღლებას.

3. საკონსტიტუციო სასამართლოს პრობლემებსა და პერსპექტივებზე

მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლო მისი კომპეტენციისა და იურისდიქციის გათვალისწინებით საერთო სასამართლოებთან შედარებით გაცილებით ნაკლებადაა დაშორებული პოლიტიკისგან, ერთმნიშვნელოვნად კვლავ უნდა აღინიშნოს, რომ სტატიის მიზანი არ არის საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე ფაქტობრივი პრობლემატიკის პოლიტიკურ ჭრილში განხილვა, არამედ არსებული იურიდიული ჩარჩოს შეფასება. ჯეროვანი კონსტიტუციური

⁴⁵ იხ. <https://www.uscourts.gov/about-federal-courts/court-role-and-structure> [უ.გ. 26.02.2021].

⁴⁶ იხ. 2020 წლის სახელმწიფოს ბიუჯეტი <https://www.mof.ge/5259> [უ.გ. 26.02.2021].

⁴⁷ M. L. Miller, R. F. Wright, "Criminal Procedures – Cases, Statutes and Executive Materials", Aspen CaseBook Series, 4th Edition, 2011, 1073.

⁴⁸ Harris, O'Boyle & Warbrick, "Law of the European Convention on Human Rights", Second Edition, Oxford, 2009, 278-283.

⁴⁹ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე No. 15339/02, „ბუდაიევა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ“, 2008 წლის 20 მარტი, პუნქტები 190-191.

⁵⁰ Opinion №20, Consultative Council of European Judges (CCJE), Strasbourg, 10 November 2017, §23.

⁵¹ European Commission for Democracy through Law (VENICE COMMISSION), Study no. 316/ 2004, Strasbourg, 3 April 2007, 8.

მართლმსაჯულების განხორციელება მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან ინსტიტუციონალურ უზრუნველყოფას, რაც თავის თავში გულისხმობს იმგვარ პირთა შერჩევას, რომელთა კომპეტენციის, კვალიფიკაციისა და კეთილსინდისიერების მიმართაც ყველაზე ნაკლებად დაიბადება კითხვები.

პრობლემურია საკითხის გადაწყვეტა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის ცენზებთან დაკავშირებით, კერძოდ, განათლების ცენზად უზენაესის მოსამართლისთვის მითითებულია მაგისტრის ხარისხი, ხოლო ასეთ მოთხოვნას საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეს კონსტიტუცია და ორგანული კანონი არ უწყებს. ის დათქმა, რომ ბათუმში მდებარე სასამართლოში დასანიშნი პირი უნდა იყოს “გამოჩენილი თავის სფეროში”, არაგანჭვრეტადი სტანდარტია. საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც საკონსტიტუციო კონტროლის “ერთადერთი და უზენაესი”⁵² ინსტანციის, მოსამართლე უნდა იყოს უმაღლესი კვალიფიკაციის. საქმიანობის სპეციფიკა განაპირობებს აუცილებლობას, რომ მინიმუმ მაგისტრის ან მაგისტრთან გათანაბრებული საგანმანათლებლო ხარისხი იყოს მოთხოვნილი.⁵³ დღეს აღნიშნულ სტანდარტს ვერ აკმაყოფილებს რამდენიმე დანიშნული მოსამართლე. სადავო არ არის, რომ თავისი არსით საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს უწევს არამხოლოდ კონკრეტული სპეციალიზაციის დავის განხილვა (როგორც უზენაესი სასამართლოს კონკრეტული პალატის მოსამართლეს), არამედ კომპლექსურად სამართლის მრავალი დარგის ყოვლისმომცველი ცოდნის გამოვლენა. ამდენად, განათლების ცენზი აშკარად არათანმიმდევრულია.

გარდა ამისა, ერთ-ერთი მწვავე პრობლემა სასამართლოს დაკომპლექტების მეტად არათანმიმდევრული მოდელი. ცნობილია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს 3-3 მოსამართლეს ნიშნავს პრეზიდენტი და უზენაესი სასამართლოს პლენუმი, ხოლო სამს ირჩევს პარლამენტი. აღნიშნული ჰიბრიდული და პარიტეტული მოდელი 1995 წლიდან არის განმტკიცებული.⁵⁴ თავად ჰიბრიდული მოდელის იდეა - ფორმალურად მონაწილეობდეს სამივე შტო - საინტერესოა, იგი გონივრულად აბალანსებს მონაწილეობას და არის “მედისონიალური გადაწყვეტის” გამოვლინება, თუმცა დღესდღეობით ცალკეულ ასპექტებში ანაქრონისტული.

კონსტიტუციური რეფორმების შემდეგ, ფართო შეფასებით, საქართველოს პოლიტიკური მოწყობა აღარაა საპრეზიდენტო ან ნახევრად-საპრეზიდენტო რესპუბლიკას, არამედ უკვე მიჩნეულია კლასიკურ საპარლამენტო მმართველობის სახელმწიფოდ,⁵⁵ ამ ფონზე გაუგებარია, თუ რატომ მონაწილეობს ისევ პრეზიდენტი საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირებაში. კონსტიტუციის შემუშავების დროს პრეზიდენტის - როგორც კონსტიტუციის თავდაპირველი რედაქციით, აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურის - მონაწილეობა საკონსტიტუციო სასამართლოს დაკომპლექტებაში აღიქმებოდა აღმასრულებელი ხელისუფლების მონაწილეობად,⁵⁶ დღეს მითითებული იდეა სრულიად უადგილო და ავანტიურისტული გახდა.

პრეზიდენტის ნაცვლად საკონსტიტუციო სასამართლოს დაკომპლექტებაში უნდა მონაწილეობდეს პარლამენტი და სასამართლო ხელისუფლება. აღნიშნულ პროცესში აღმასრულებელი ხელისუფლების შემოყვანა გაუმართლებელი იქნებოდა, პროცესის პოლიტიზირების არგუმენტის გარდა, იმის გამოც, რომ ერთპალატიან საპარლამენტო რესპუბლიკაში აღმასრულებელი ხელისუფლება და საპარლამენტო უმრავლესობა წარმოადგენს თითქმის იდენტურ პოლიტიკურ

⁵² რობერტ ჯეკსონის ცნობილი დიქტუმი უზენაესი სასამართლოს ინსტიტუციონალურ როლსა და ადგილზე: “ჩვენ არ ვართ უზენაესი ჩვენი უცდომელობის გამო, არამედ შეუმცდარნი ვართ, რადგან ვართ უზენაესი.” *ib. Brown v. Allen, 344 U.S 433, 540 (1953)* (ჯეკსონის თანმხვედრი აზრი).

⁵³დ. გეგენავა, „საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები“, რედ. გ. კვერენჩილაძე, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, 79.

⁵⁴კონსტიტუციის შემუშავების დროს საკონსტიტუციო სასამართლოს დაკომპლექტების საკითხზე არ ყოფილა აზრთა ერთსულოვნება. ძირითადად დავა იყო იმაზე, უნდა ჰქონოდა თუ არა უზენაესი სასამართლოს კანდიდატის წარდგენის და დანიშვნის უფლება, რადგან სათუო იყო წარმოადგენდა თუ არა სასამართლოს ეს ინსტანცია ხელისუფლების წყაროს, *ib. ბაბევი, სქოლიო 5, გვ.გვ. 251-252.*

⁵⁵ European Commission for Democracy through Law (Venice Commission), “Opinion on the Draft revised Constitution as adopted by the Parliament of Georgia at the second reading on 23 June 2017”, Adopted by the Venice Commission at its 112th Plenary Session (Venice, 6-7 October 2017), CDL – AD (2017) 023, Para 51.

⁵⁶ თ. პაპაშვილი, თანამედროვე სამართლის მიმოხილვა #1(2), მთ. რედ. გ.ხუბუა, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო ინსტიტუტი, 2014, 73-74.

ნებას.⁵⁷ შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებისთვის ლეგიტიმაციის დეფიციტის შექმნის გარდა, მივიღებდით გაორებულ პროცესს. თავის მხრივ, მიუღებელია ე.წ გერმანული მოდელი, სადაც ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირებაში საბოლოო სიტყვა აქვს მხოლოდ პარლამენტს⁵⁸ ორი მიზეზის გამო, ერთი ბიკამერალიზმისა და ფედერალიზმის არარსებობის პირობებში, აღნიშნული მოდელი საქართველოში არაეფექტიანი და კონტრპროდუქტიული იქნებოდა. მეორე, საკონსტიტუციო სასამართლოს წარმომადგენლობითი ლეგიტიმაციის გარდა, ასევე სჭირდება კეთილსინდისიერი და კომპეტენტური მოსამართლეების გამოცდილება, ნდობა და თანამონაწილეობა.

აგრეთვე პრობლემურია დაკომპლექტების პროცესში სასამართლოს ადგილი. არსებული მოდელით უზენაესი სასამართლოს *prima inter pares* (ლათ. პირველი თანასწორთა შორის) თავმჯდომარისთვის საკონსტიტუციოს მოსამართლეების წარდგენის ექსკლუზიური უფლებამოსილება უადგილო და კონტრპროდუქტიულია პარიტეტული დაკომპლექტების იდეასთან. არსებული მოწესრიგების პირობებში, როდესაც პლენუმი ნიშნავს სამივე კანდიდატს, მნიშვნელოვანია, რომ “კოლეგიალური” პლენუმის თითოეულ წევრს ჰქონდეს კანდიდატის დასახელების უფლებამოსილება.⁵⁹ დასახელების შემდეგ პლენუმის სხვა წევრებს უნდა მიეცეთ გონივრული დრო, რათა შეისწავლონ კანდიდატის პროფესიული გამოცდილება და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება სრული შემადგენლობის (და არა დამსწრეთა) $\frac{3}{5}$ -ით ირჩევდეს პლენუმი საკონსტიტუციოს მოსამართლეს.

2020 წელს პლენუმმა Covid-19-ის პანდემიის გამო საყოველთაო იზოლაციის პირობებში, 3 აპრილს ფორსირებულად დანიშნა მოსამართლე, რომლის პიროვნების შესწავლის დრო პლენუმის სხვა წევრებს არ მისცემიათ, ხოლო, მოგვიანებით მეტ-ნაკლებად მსგავს სიტუაციაში დაინიშნა მეორე მოსამართლე. მიუხედავად იმისა, რომ ორგანული კანონის მოთხოვნათა ფორმალური დაცვით წარუდგინა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ პლენუმს კანდიდატები, პროცესისადმი ნდობა მაინც არ არის მაღალი. პრეტენზიებიც გამოითქვა, მათ შორის, პლენუმის წევრის მიერ.⁶⁰ გარდა ამისა, დაფიქსირდა კრიტიკა, რომ პროფესიულ თუ საზოგადოების ფართო წრეებში დანიშნული პირები არ სარგებლობდნენ ცნობადობით. საკითხის პრობლემურობა თავს იჩენს არა მხოლოდ საკუთრივ დანიშვნის პროცედურის ფორმალიზმში, არამედ მისი მატერიალური კუთხითაც. კერძოდ, რამდენად დაცულია კონსტიტუციური პრინციპები და დადგენილი წესრიგი. უნდა დაისვას კითხვა რამდენად სამართლიანია საკონსტიტუციო სასამართლოში დაინიშნოს პირი ფართო საზოგადოებრივი დისკუსიების გარეშე, მაგანი ინიშნებოდნენ ისე, რომ პლენუმის წევრებმაც არაფერი იცოდნენ მათ შესახებ, ვიდრე პლენუმის სხდომამდე. პროცესში არ იყოს გათვალისწინებული ხელისუფლების დანაწილების არსებული მოდელის ანაბანა. თუმცა, არსებულ რეალობაში ზემოთ განხილული გადაწყვეტა გააუმჯობესებს სიტუაციას ასეთი მოდელიც არ იქნება საკმარისად თანმიმდევრული კონსტიტუციური მოწყობისთვის.

უზენაესი სასამართლო არის საკასაციო ინსტანცია და იგი თავისთავად არ არის სრულად სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანო. საკონსტიტუციოს პარიტეტული დაკომპლექტების იდეა სამივე შტოს მონაწილეობა, შესაბამისად, პლენუმის მიერ სამი მოსამართლის დანიშვნის მიზანშეწონილობა ამ იდეასთან საკამათოა, გაუგებარია რა ლეგიტიმაციას შეიძლება ანიჭებდეს პლენუმი დანიშნულ მოსამართლეს. თანმიმდევრული იქნება, თუ აღნიშნული მოწესრიგება შეიცვლება და კანდიდატებს აირჩევს მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანო, მოსამართლეთა კონფერენცია, რომელიც თავის მხრივ, შედგება სამივე ინსტანციის სასამართლოების ყველა მოსამართლისგან და ასახავენ მოსამართლეთა კორპუსის ნებას.

⁵⁷ Coalition Government as a Reflection of a Nation's Politics and Society: A Comparative Study of Parliamentary Parties and Cabinets in 12 Countries, Edited by M. Evans, 2019, Routledge, 9.

⁵⁸ Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland, 23/5/1949, Art 94.

⁵⁹ ე. კუკავა, მ. ტალახაძე, ნ. ნოზაძე, „საქართველოს უზენაესი სასამართლო – ინსტიტუციური და სამართლებრივი ჩარჩოს ანალიზი“, 2020, 48.

⁶⁰ იხ. დისკუსია: „საკონსტიტუციო სასამართლოს დაკომპლექტება“, 2020 წლის 26 მაისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია.

დასკვნა

სტატიაში ნაჩვენებია საკონსტიტუციო სასამართლოს ავტონომიურობის მნიშვნელობა, როლი, მისი პოლიტიკური ელფერები, საკონსტიტუციო კონტროლის პოლიტიკურ-სამართლებრივი არსი განპირობებულია მისი მოქმედების მასშტაბითა და საგნით. საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც ემიჯნება და უარს ამბობს პოლიტიკაზე, ღალატობს თავის ფუნქციას, რადგან აპოლიტიკური საკონსტიტუციო იუსტიცია არ არსებობს,⁶¹ ასეთი გამიჯვნა ამბივალენტური, კონტრპროდუქტიული და არარეალურია.⁶²

გაანალიზდა საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთო სასამართლოების შერწყმის იდეა, რომელიც კონსტიტუციის შემუშავების დროიდან არ კარგავს აქტუალურობას. იდეის განხორციელების წინააღმდეგ სტატიაში დაფიქსირდა ძირითადად სამი არგუმენტი: სპეციალიზების, პოლიტიზირებისა და უფლებამოსილებათა ინსტიტუციონალიზების. სტატიის მეორე ნაწილი დაეთმო წარმოდგენებს უცხოელ მოსამართლეთა საკონსტიტუციო კონტროლში ჩართვის შესახებ. კერძოდ კი, უცხოელ მოსამართლეთათვის სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკური ვექტორების რევიზიის უფლებამოსილების მინიჭების პრობლემატიკას.

სტატიის ბოლო ნაწილი დაეთმო საკონსტიტუციო სასამართლოს ირგვლივ არსებული პრობლემატიკის გამომწვევი ფორმალური მიზეზების ძიებას და ამ ფორმალისტური არათანმიმდევრულობით შექმნილ მდგომარეობას. დასახელდა განათლების ცენზის შესახებ საკანონმდებლო უზუსტობა. გაანალიზდა საკონსტიტუციო სასამართლოს დაკომპლექტების ამორფულობა და მიეთითა მეტად რელევანტურ და კონსტიტუციურ დაკომპლექტების მოდელზე.

⁶¹ დ. გრიმი, „რა არის პოლიტიკური საკონსტიტუციო მართლმსაჯულებაში“, წიგნში „კონსტიტუციონალიზმი - მიღწევები და გამოწვევები“, სამეცნიერო რედ. და გამომცემლები: მ. უგრეხელიძე და ბ. ქანთარია, გამომცემლობა უნივერსალი, 2019, 176.

⁶² ტოკვილი წერდა, „აშშ-ში იშვიათად თუ მოიძებნება პოლიტიკური საკითხი, რომელიც ადრე თუ გვიან სასამართლოს განსახილველი არ გახდება“, იხ. A. de Tocqueville, „Democracy in America (Original work published 1835)“, J.D Mayer ed., George Ferguson trans., Anchor, 1969, 270.

ბიბლიოგრაფია:

1. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის გამოქვეყნებისა და მისი საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შექმნის თაობაზე“. 9 დეკემბერი, 2004;
2. ჯონი ხეცურიანი, საკონსტიტუციო რეფორმა საქართველოში (2017 წ.) და საკონსტიტუციო სასამართლო, საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი - გამოცემა 1, 2018;
3. ნინო ჩიჩუა, როგორ ხედავს ოპოზიცია მომავალ სასამართლოს, იხ. <https://netgazeti.ge/news/482975/> [უკანასკნელად გადამოწმდა 26.02.2021];
4. იუნ კიმი, ამერიკული კულტურის ინი და იანი: პარადოქსი, Hachette UK, 2001;
5. ვოლფანგ ბაბევი, „კონსტიტუციის შემუშავება და მიღება საქართველოში (1993-1995)“, (მეორე გამოცემა) გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2013;
6. ტომ გინსბურგი, საკონსტიტუციო სასამართლოების პროექტი და ეკონომიკური ანალიზი, *Theoretical Inquiries in Law*, 3(1), 2002;
7. ქრისტიან ვონსტი, დემოკრატიის მცველი, Springer Fachmedien Wiesbaden, 2017;
8. ჰერბერტ ლ. ა. ჰარტი, კანონის ცნება, მეორე გამოცემა, რედ. პენელოპე ა. ბულოხი, ჯოზეფ რაცზი, Oxford University Press, 1994;
9. ალფრედერ ჰამილტონი, 78-ე ფედერალისტური წერილი, 1788, <http://www.federalistpapers.ge/federali78.php> [უკანასკნელად გადამოწმდა 26.02.2021];
10. ამერიკის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „მერბერი მედისონის წინააღმდეგ“, 5 U.S. 137, 177(1803). <https://supreme.justia.com/cases/federal/us/5/137/> [უკანასკნელად გადამოწმდა 26.02.2021];
11. ივიკო ხავთასი, შეერთებული შტატების მაგალითზე ფედერალური უზენაესი სასამართლოს პოლიტიკური როლი ძალაუფლების დანაწილების შეკავებაგაწონასწორების მოდელში, საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი (გამოცემა №2/2019), 74. <https://constcourt.ge/files/2/journal2019.2/Iviko-Khavtasi-2019.2-eng.pdf> [უკანასკნელად გადამოწმდა 26.02.2021];
12. შოთა დეისაძე, საკონსტიტუციო კონტროლის წარმოშობა და მისი განმახორციელებელი ორგანო, მართლმსაჯულება და კანონი #4(23)'09, 85;
13. მაია კოპალეიშვილი, ნუგზარ სხირტლაძე, ეკატერინე ქარდავა, პაატა ტურავა, ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „სიესტა“, 2008;
14. მაიკ ვაინბრეკე, შესავალი ძირითად უფლებებში: ეკონომიკური სამართალი და საკონსტიტუციო საჩივრის უფლება, Springer-Verlag, 2013;
15. გიორგი ხუბუა, საკონსტიტუციო სასამართლო როგორც კონსტიტუციური ორგანო, სტატიათა კრებულში „გურამ ნაჭყებია-75 (საიუბილეო კრებული)“, რედ. ნ. თოდუა, „მერიდიანი“, 2016;
16. შარლ ლუი დე მონტესკიე, კანონთა გონი, თომას ნუგეტის თარგმანი, Batoche Books Kitchener, 2001;
17. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილება საქმეზე N8/177/2, 2002 წლის 21 მაისი;
18. ლებ გარლიკი, საკონსტიტუციო სასამართლოები უზენაესი სასამართლოების წინააღმდეგ, *International Journal of Constitutional Law*, 5(1), 2007;
19. კონსტიტუციის მცველი: შანს კელზენი და კარ შმიდტი საკონსტიტუციო სამართლის შეზღუდვებზე, თარგმანი და კომენტარები ლარს ვინქსი, Cambridge University Press, 2015;
20. ანდრამ შაიო, ხელისუფლების თვითშეზღუდვა - კონსტიტუციონალიზმის შესავალი, მ. მაისურაძის თარგმანი, თ. ნინიძის რედაქტორობით, გამომცემლობა „სეზანი“, 2003;
21. ჰანს კელზენი, „ვინ უნდა იყოს კონსტიტუციის მცველი“, Berlin-Grunewald: W. Rothschild, 1931;

22. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო (CCJE), დასკვნა #15 (2012) მოსამართლეთა სპეციალიზაციის შესახებ;
23. ვოლფანგ ბაბეკი, „საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია 20 წლის შემდეგ: მიღწევები, გამოწვევები, მომავლის ხედვები“, წიგნში „საქართველოს კონსტიტუცია 20 წლის შემდეგ“, რედაქტორები: ვ. ნაცვლიშვილი, დ. ზედელაშვილი, ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, 2016;
24. დიმიტრი გეგენავა, „საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივი ბუნება და მისი ადგილი ხელისუფლების დანაწილების კონცეფციაში“, წიგნში „თანამედროვე საკონსტიტუციო სამართალი“, რედაქტორები: გ. კვერენჩილაძე, დ. გეგენავა, დავით ბატონიშვილის ინსტიტუტი, 2012;
25. რიჩარდ ა. პოზნერი, როგორ აზროვნებენ მოსამართლეები, Harvard University Press, 2008;
26. ჰერმან შვარცი, „კონსტიტუციის მშენებლობის საფეხურები“, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა (პირველი ნომერი);
27. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №1/466, 2010 წლის 28 ივნისი;
28. ქეთევან ერემაძე, „საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია 20 წლის შემდეგ: მიღწევები, გამოწვევები, მომავლის ხედვები“, „საქართველოს კონსტიტუცია 20 წლის შემდეგ“, რედაქტორები: ვ. ნაცვლიშვილი, დ. ზედელაშვილი, ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, 2016;
29. საქართველოს კონსტიტუცია, 24/08/1995;
30. კავკასიის ბარომეტრის კვლევა სასამართლოსადმი ნდობის შესახებ, გამოკითხულთა მხოლოდ 17% ენდობა ან ნაწილობრივ ენდობა. <https://www.caucasusbarometer.org/en/cb2019ge/TRUCRTS/> [უკანასკნელად გადამოწმდა 26.02.2021];
31. სასამართლო სისტემა: რეფორმები და პერსპექტივები, ანგარიშის რედაქტორი გ. ბურჯანაძე, 2017;
32. „კონვენცია სახელშეკრულებო სამართლის შესახებ“, ვენა, 1969 წლის 23 მაისი;
33. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება საქმეზე №2/14/156, 2002 წლის 4 ოქტომბერი;
34. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №1/2/378, 2006 წლის 13 ივლისი;
35. საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილება საქმეზე №3/2/1473, 2020 წლის 25 სექტემბერი;
36. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე №3/3/763, 2016 წლის 20 ივლისი;
37. უილიამ დ. პოპკინი, სამოსამართლო აზრის ინსტიტუციონალური და ინდივიდუალური სტილის განვითარება, New York University Press, 2007;
38. ტომ ბინგემი, სამართლის უზენაესობა, London, Penguin Books, 2010;
39. როჯერ სკრუტონი, როგორ იყო კონსერვატორი, Bloomsbury Continuum, 2014;
40. სამოსამართლო ანაზღაურება, <https://www.uscourts.gov/judges-judgeships/judicial-compensation> [უკანასკნელად გადამოწმდა 26.02.2021];
41. სასამართლოს როლი და სტრუქტურა, <https://www.uscourts.gov/about-federal-courts/court-role-and-structure> [უკანასკნელად გადამოწმდა 26.02.2021];
42. 2020 წლის სახელმწიფოს ბიუჯეტი, <https://www.mof.ge/5259> [უკანასკნელად გადამოწმდა 26.02.2021];
43. მარკ ლ. მილერი, რონალდ ფ. ვრაითი, სისხლის სამართლის პროცესი: საქმეები, ნორმები და ძირითადი მასალები, Aspen CaseBook Series, 4th Edition, 2011;
44. დევიდ ჰარისი, მაიკლ ო'ბოილი, ევროპული კონვენციის ადამიანის უფლებათა სამართალი, მეორე გამოცემა, Oxford, 2009;
45. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო (CCJE), დასკვნა, №20, სტრასბურგი, 2017 წლის 10 ნოემბერი;

46. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე No. 15339/02, „ბუდაიევა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ“, 2008 წლის 20 მარტი;
47. ევროპული კომისია დემოკრატიისთვის სამართლის მეშვეობით (ვენეციის კომისია), no. 316/2004, სტრასბურგი, 2007 წლის 3 აპრილი.;
48. ამერიკის უზენაესი სასამართლო გადაწყვეტილება საქმეზე „ბრაუნი ალენის წინააღმდეგ“, 344 U.S 433, 540 (1953) (Jackson concurring);
49. დიმიტრი გეგენავა, „საკონსტიტუციო მართლმსაჯულება საქართველოში: სამართალწარმოების ძირითადი სისტემური პრობლემები“, რედ. გ. კვერენჩილაძე, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი;
50. ევროპული კომისია დემოკრატიისთვის სამართლის მეშვეობით (ვენეციის კომისია), „მოსაზრება კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტზე, რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ განხილულია მეორე მოსმენით 2017 წლის 23 ივნისის მდგომარეობით“, მიღებულია ვენეციის კომისიის მიერ 111-ე პლენარულ სხდომაზე, ვენეცია, 2017 წლის 6-7 ოქტომბერი;
51. მალკომ შოუ, საერთაშორისო სამართალი, მე-5 გამოცემა, Cambridge University Press, 2003;
52. თამარ პაპაშვილი, თანამედროვე სამართლის მიმოხილვა #1(2), მთ. რედ. ხუბუა გ., დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო ინსტიტუტი, 2014;
53. გერმანიის ფედერაციის ძირითადი კანონი, 23/5/1949;
54. ქეთევან კუკავა, მაია ტალახაძე, ნინო ნოზაძე, საქართველოს უზენაესი სასამართლო – ინსტიტუციური და სამართლებრივი ჩარჩოს ანალიზი, 2020;
55. დიტერ გრიმი, რა არის პოლიტიკური საკონსტიტუციო მართლმსაჯულებაში“, წიგნში „კონსტიტუციონალიზმი - მიღწევები და გამოწვევები“, სამეცნიერო რედ. და გამომცემლები: მ. უგრეხელიძე და ბ. ქანთარია, გამომცემლობა უნივერსალი, 2019;
56. ალექსის დე ტოკვილი, დემოკრატია ამერიკაში (გამოქვეყნების დრო 1835), რედ. ჯ.დ. მაიერი, მთარგ, ჯ. ფერგიუსონი, Anchor, 1969;
57. კოალიციური მთავრობა, როგორც ერის პოლიტიკისა და სოციუმის ანარეკლი: 12 ქვეყნის საპარლამენტო პარტიებისა და კაბინეტების კომპარატივისტიკა, რედ. მეთ ევანსი, 2019.

Bibliography:

1. Resolution of the Parliament of Georgia on the Publication of the Draft Constitutional Law of Georgia on “Amendments to the Constitution of Georgia and the Establishment of an Organizing Commission for its General Public Hearing. December 9, 2004;
2. Johnny Khetsuriani, Constitutional Reform in Georgia (2017) and the Constitutional Court, Journal of Constitutional Law – Edition 1, 2018, 29;
3. Nino Chichua, How the Opposition Sees the Court in the Future, ნეტგაზეთი | როგორ ხედავს ოპოზიცია მომავალ სასამართლოს (netgazeti.ge) [Last seen 26.02.2021];
4. Eun Y. Kim, The yin and yang of American culture: A paradox. Hachette UK, 2001;
5. Wolfgang Babek, Development and Adoption of the Constitution in Georgia (1993-1995), (Second Edition) German Society for International Cooperation (GIZ), 2013;
6. Tom Ginsburg, Economic analysis and the design of constitutional courts. Theoretical Inquiries in Law, 3(1), 2002;
7. Christian Wöhst, Guardian of Democracy, Springer Fachmedien Wiesbaden, 2017;
8. Herbert L. A. Hart, The concept of Law–Second Edition, Postscript edited by Penelope A. Bulloch, Joseph Raz, Oxford University Press, 1994;
9. Alexander Hamilton, 78th Federalist Letter, 1788, <http://www.federalistpapers.ge/federali78.php> [Last seen 26.02.2021];
10. Marbury v. Madison, 5 U.S. 137, 177(1803), <https://supreme.justia.com/cases/federal/us/5/137/> [Last seen 26.02.2021];

11. Iviko Khavtasi, The Political Role of the Supreme Court of the United States under the Separation of Powers and its model of Checks and Balances, Journal of Constitutional Law (Edition №2 / 2019), Edited by I. Urushadze;
12. Shota Deisadze, The Origin of Constitutional Review and Its Executing Body, Justice and Law # 4 (23) 2009;
13. Mike Wienbracke, Introduction to the Basic Rights: With a focus on economic law and the right of constitutional complaint, Springer-Verlag, 2013;
14. Maia Kopaleishvili, Nugzar Skhirtladze, Ekaterine Kardava, Paata Turava, Handbook of Administrative Procedure Law, Siesta Publishing House, 2008;
15. Charles De Montesquieu, The Spirit of Laws, Thomas Nugent (trans.), Batoche Books Kitchener, 2001;
16. Giorgi Khubua, Constitutional Court as a Constitutional Body, Guram Nachkebia-75 (Jubilee Collection), Edited by N. Todua, Meridian Publishing House, 2016;
17. Lech Garlicki, Constitutional courts versus supreme courts. International Journal of Constitutional Law, 5(1), 2007;
18. The Guardian Of The Constitution: Hans Kelsen And Carl Schmitt on the Limits of Constitutional Law, Translation and Notes by Lars Vinx, Cambridge University Press, 2015;
19. Andras Sajó, Limiting Government - An Introduction to Constitutionalism, Translated by M. Maisuradze, Edited by T. Ninidze, Cezan Publishing House, 2003;
20. Hans Kelsen, Who shall be the guardian of the constitution? Berlin-Grunewald: W. Rothschild, 1931;
21. Consultative Council of European Judges (CCJE), Conclusion # 15 (2012) on the specialization of judges, §§ 8-13;
22. Wolfgang Babek, 1995 Constitution of Georgia after 20 years: Achievements, Challenges, Visions for the future, Constitution of Georgia after 20 years, Edited by V. Natsvlshvili, D. Zedelashvili, Open Society Georgia Foundation, 2016;
23. Dimitri Gegenava, The Legal Nature of the Constitutional Court and Its Place in the Concept of Separation of Powers, Contemporary Constitutional Law, Edited by G. Kverenchkhiladze, D. Gegenava, Prince David Institute for Law, 2012;
24. Richard A. Posner, How Judges Think, Harvard University Press, 2008;
25. Hermann Schwarts, Phases of Construction of Constitution, Constitutional Law Review (First Issue);
26. Judgment of the Constitutional Court of Georgia, 28 June 2010, Case №1/466,II-18;
27. Ketevan Eremadze, Freedom within the Constitution and freedom to understand the Constitution, Constitution of Georgia after 20 year, Edited by Natsvlshvili V., Zedelashvili D., Open Society Georgia Foundation, 2016;
28. Constitution of Georgia, 24/08/1995;
29. Opposition parties agree on judicial reform, 2020, <http://www.tabula.ge/ge/story/166646-opoziciuri-partiebi-sasamartlos-reformaze-shetanxmdnen> [L.S 26/02/2021];
30. Caucasus Barometer 2019 Georgia, Trust-Court System <https://www.caucasusbarometer.org/en/cb2019ge/TRUCRTS/> [Last seen 26.02.2021];
31. Judiciary: Reforms and Prospects, Report by the Coalition for an Independent and Transparent Judiciary, Editor Giorgi Burjanadze, 2017;
32. Judgment of the Plenum of the Constitutional Court of Georgia, 21 May 2002, Case N8/177/2;
33. Vienna Convention on the Law of Treaties, Vienna, 23 May 1969;
34. Judgment of the Constitutional Court of Georgia, 4 October 2002, Case №2/14/156;
35. Judgment of the Constitutional Court of Georgia, 13 July 2006, Case №1/2/378;
36. Judgment of the Plenum of the Constitutional Court of Georgia, 25 September 2020, Case №3/2/1473;
37. Judgment of the Constitutional Court of Georgia, 20 July 2016, Case №3/3/763;
38. William D. Popkin, Evolution of the Judicial Opinion Institutional and Individual Styles, New York University Press, 2007;
39. Tom Bingham, The Rule of Law, London, Penguin Books, 2010;
40. Roger Scruton, How to be a Conservative, Bloomsbury Continuum, 2014;
41. Judicial Compensation <https://www.uscourts.gov/judges-judgeships/judicial-compensation> [Last seen 26.02.2021];

- seen 26.02.2021];
43. 2020 State Budget <https://www.mof.ge/5259> [Last seen 26.02.2021];
 44. Marc L. Miller, Ronald F. Wright, *Criminal Procedures – Cases, Statutes and Executive Materials*, Aspen CaseBook Series, 4th Edition, 2011;
 45. David Harris, Michael O’Boyle, *Law of the European Convention on Human Rights*, Second Edition, Oxford, 2009;
 46. Consultative Council of European Judges (CCJE), Opinion №20, Strasbourg, 10 November 2017;
 47. Judgment of the European Court of Human Rights on the case of Budayeva and Others v. Russia, App. No. 15339/02 etc., judgment of 20 March 2008;
 48. European Commission for Democracy through Law (VENICE COMMISSION) Study no. 316/ 2004, Strasbourg, 3 April 2007;
 49. *Brown v. Allen*, 344 U.S 433, 540 (1953) (Jackson concurring);
 50. Dimitri Gegenava, *Constitutional Justice in Georgia: Basic Systemic Problems in Legal Proceedings*, Edited by G. Kverenchkhiladze, Prince David Batonishvili Institute for Law, 2012;
 51. Malcom N. Shaw, *International Law*, Cambridge University Press, 5th Edition, 2003;
 52. European Commission for Democracy through Law (Venice Commission), “Opinion on the Draft revised Constitution as adopted by the Parliament of Georgia at the second reading on 23 June 2017”, Adopted by the Venice Commission at its 112th Plenary Session (Venice, 6-7 October 2017), CDL – AD (2017) 023;
 53. Tamar Papashvili, *Modern Law Review # 1 (2)*, Main Ed. Khubua G., Prince David Institute for Law, Faculty of East European Law, 2014;
 54. *Grundgesetz für die Bundesrepublik Deutschland*, 23.5.1949;
 55. Ketevan Kukava, Nino Nozadze, Maia Talakhadze, *Supreme Court of Georgia - Analysis of the Institutional and Legal Framework*, 2020;
 56. Dieter Grimm, *What is Political in Constitutional Justice, Constitutionalism - Achievements and Challenges*, Scientific Ed. And Publishers: M. Ugrehelidze and B. Kantaria, Publishing House "Universal", 2019;
 57. Alexis de Tocqueville, *Democracy in America* (Original work published 1835), J.D Mayer ed., George Ferguson trans., Anchor, 1969;
 58. *Coalition Government as a Reflection of a Nation’s Politics and Society: A Comparative Study of Parliamentary Parties and Cabinets in 12 Countries*, Routledge, edited by Matt Evans, 2019.